


**სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ მთლიანი აქტივები 2009 წლის ოქტომბერში 17.7%-ით გაიზარდა**

დღეს სს „საქართველოს სახალხო ბანკმა“ 2009 წლის სექტემბერთან შედარებით მთლიანი აქტივების 17.7%-ით გაზრდის შესახებ განაცხადა. 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივები 328.2 მილიონ ლარს გაუტოლდა (რაც 2008 წლის აპრილიდან მოყოლებული ყველაზე მაღალი ნიშნულია). ოქტომბერი არის პირველი სრული თვე მას შემდეგ, რაც „ლიბერთი კაპიტალმა“ ბანკის სააქციო კაპიტალის 91.218% შეიძინა. სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ კლიენტების დეპოზიტები 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 34.7%-ით, 209.6 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები 51.4 მილიონ ლარს (სექტემბერთან შედარებით 1.3%-ით შემცირდა), ხოლო ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები 42.1 მილიონ ლარს გაუტოლდა (სექტემბერთან შედარებით 2.9%-ით გაიზარდა). წმინდა სესხების მთლიან დეპოზიტებთან კოეფიციენტი ბანკის არსებობის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულზეა და 2009 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით 30.4%-ს შეადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ბანკმა 2009 წლის ოქტომბერში ფიზიკური პირებისთვის სესხების გაცემა განაახლა. მთლიანი ვალდებულებები 2009 წლის სექტემბერთან შედარებით 19.1%-ით გაიზარდა და 311.4 მილიონ ლარს მიაღწია.

„ჩვენ ბანკის რესტრუქტურის საწყის, ყველაზე მტკივნეულ ფაზაში ვართ, შესაბამისად, მოხარული ვართ, რომ ბანკმა ზრდა დაიწყო და საბალანსო უწყისი ასეთი ლიკვიდურია. ჩვენი გათვლებით 2008 წლის ფინანსური შედეგების აუდიტი რამდენიმე კვირაში უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც 2010 წლის იანვრიდან ჩვენ სისტემატურად შევძლებთ ბანკის ფინანსური შედეგების გამოქვეყნებას“, აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

**სს „სახალხო ბანკის“ შესახებ**

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: BANK) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი დაახლოებით 1.2 მილიონ ფიზიკურ პირს და 28,000-ზე მეტ იურიდიულ პირს უწყვეს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [www.peoplesbank.ge](http://www.peoplesbank.ge) ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lado.gurgenidze@peoplesbank.ge](mailto:lado.gurgenidze@peoplesbank.ge) ან [ir@peoplesbank.ge](mailto:ir@peoplesbank.ge)

**„ლიბერთი ინვესტიმენტის“ შესახებ**

„ლიბერთი ინვესტიმენტის“ 2009 წლის სექტემბერში დაარსებული საინვესტიციო კომპანიაა. იგი ინვესტიციებს ძირითადად ახორციელებს მზარდი ბაზრების ფინანსურ სექტორში. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან დინუ პატრიჩიუ და ლადო გურგენიძე. „ლიბერთი ინვესტიმენტი“ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ მზარდ ბაზრებზე, სადაც არის ღია, ლიბერალური ეკონომიკა, საიმედო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფო მართვის მაღალი სტანდარტები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს  
გენერალური დირექტორი  
ტელეფონი: +995 99 477 272  
ელ-ფოსტა: [lg@libertycapital.ge](mailto:lg@libertycapital.ge)

დიმიტრი კასატკინს  
დირექტორის მოადგილე  
+44 77 860 28 700  
ელ-ფოსტა: [dk@libertycapital.ge](mailto:dk@libertycapital.ge)